



ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

შინაარსი:

თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ-----გვ.2

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები-----გვ.5


გასული 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება----გვ.8

მიმდინარე 2024 წლის შესრულება---53

თავი III მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები-----გვ.59

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ბორჯომის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში. იგი ისტორიული კუთხის თორის ტერიტორიაზე მდებარეობს.



ის მოქცეულია თრიალეთის ქედის დასავლეთით და მესხეთის ქედის აღმოსავლეთით, უჭირავს თორის ქვაბული და ბორჯომის ხეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1189 კვ კმ. მათ შორის 440 კვ. კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მდინარეები მტკვარი, ბორჯომულა, გუჯარეთის წყალი; ტბები: ტაბაწყური, კახისი, წეროს ტბა და სხვა. მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური წყლები, განსაკუთრებით კი ფართოდ ცნობილია ბორჯომის მინერალური სამკურნალო წყალი. მინერალური წყაროებისა და ულამაზესმა ბუნებამ ბორჯომს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და საკურორტო ზონად ჩამოაყალიბა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ქალაქი ბალნეოლოგიურ კურორტად და რომანოვების სამეფო დინასტიის საზაფხულო რეზიდენციად გადაიქცა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია დაბა ბაკურიანი, რომელიც ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სათხილამურო ზამთრის კურორტი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2024 წლის მდგომარეობით 24,400 ათასი კაცია. სიმჭიდროვე – 21 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში 11 ადმინისტრაციული ერთეულია, მათ შორის 1 ქალაქი ჰდაბა და 31 სოფელი.

2024 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დასახლებული 24,400 ათასი მოსახლიდან 13,3 ათასი ქალბატონია, ხოლო 11,1 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 15,2 ათასი პირი, მათ შორის 7,0 ათასი მამაკაცი და 8,2 ქალბატონი. სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 9,2 ათასი მცხოვრები მათ შორის 6,0 მამაკაცი და 3,2 ქალბატონი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 5,6 ათასი 6 წლამდე ბავშვი, 6,8 ათასი 6-დან 18 წლამდე მოზარდი, 6.3 ათასი პენსიონერი, მათ შორის 3237 ათასი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირია. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 8 622 ათას მოსახლეს.

მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს: მრეწველობა (მინერალური წყლის ექსპორტი 71%) ტურიზმი, მშენებლობა, ვაჭრობა, მცირე მეწარმეობა და საჯარო მომსახურებები.

ბორჯომში ფუნქციონირებს 2 ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომლის მეშვეობითაც მინერალური წყლით მარაგდება მსოფლიოს 40–მდე ქვეყანა.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული შემოსავლის ძირითადი გადამხდელია შ.პ.ს.აიდიეს კომპანი, რომელიც ბორჯომის მინერალური წყლის მოპოვებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადამხდელია. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადების გარკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 32,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2024 წლის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)	საკუთარი შემოსავლები (ათას ლარებში)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო	3,736.400	69,700.00	16.680.400.0	16,272,300,0
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	24,400.00	1,189.00	33156.7	32283.4
პროცენტი საქართველოსთან	0.66	1.71	0.20	0.20

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი		2026 წლის პროგნოზი			2027 წლის პროგნოზი			2028 წლის პროგნოზი	
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	47 139,6	34 710,4	12 429,2	42 800,0	42 800,0	46 025,6	46 025,6	-	47 804,5	47 804,5	-	49 748,8	49 748,8
გადასახადები	17 412,4	17 412,4	-	25 000,0	25 000,0	28 750,0	28 750,0	-	30 528,9	30 528,9	-	32 273,8	32 273,8
გრანტები	12 769,6	340,4	12 429,2	-	-	0,0	-	-	0,0	-	-	0,0	-
სხვა შემოსავლები	16 957,6	16 957,6	-	17 800,0	17 800,0	17 275,6	17 275,6	-	17 275,6	17 275,6	-	17 475,0	17 475,0
II. ხარჯები	34 864,3	34 517,0	347,4	35 138,9	35 138,9	35 669,1	35 669,1	-	37 256,6	##### ##	-	40 103,4	40 103,4
შრომის ანაზღაურება	3 778,5	3 778,5	-	4 149,8	4 149,8	4 591,8	4 591,8	-	5 066,7	5 066,7	-	5 581,1	5 581,1
საქონელი და მომსახურება	5 592,6	5 464,9	127,7	4 979,1	4 979,1	5 373,1	5 373,1	-	6 167,5	6 167,5	-	6 400,7	6 400,7
პროცენტი	11,4	11,4	-	6,4	6,4	1,3	1,3	-	-	-	-	-	-
სუბსიდიები	18 829,5	18 829,5	-	18 735,0	18 735,0	17 978,9	17 978,9	-	18 288,6	18 288,6	-	19 907,8	19 907,8

გრანტები	178,2	178,2	-	178,2	178,2	177,0	177,0	-	177,0	177,0	-	177,0	177,0
სოციალური უზრუნველყოფა	4 448,0	4 448,0	-	4 480,8	4 480,8	4 495,8	4 495,8	-	4 495,8	4 495,8	-	4 495,8	4 495,8
სხვა ხარჯები	2 026,2	1 806,5	219,7	2 609,6	2 609,6	3 051,2	3 051,2	-	3 061,0	3 061,0	-	3 541,0	3 541,0
III. საოპერაციო საღადო	12 275,3	193,4	12 081,8	7 661,1	7 661,1	10 356,5	10 356,5	-	10 547,9	10 547,9	-	9 645,4	9 645,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	24 012,8	10 664,4	13 348,4	7 605,5	7 605,5	10 328,7	10 328,7	-	10 547,9	##### ##	-	9 645,4	9 645,4
ზრდა	24 512,8	11 164,4	13 348,4	7 805,5	7 805,5	10 428,7	10 428,7	-	10 647,9	10 647,9	-	9 745,4	9 745,4
კლება	500,0	500,0		200,0	200,0	100,0	100,0		100,0	100,0		100,0	100,0
V. მთლიანი საღადო	- 11 737,5	- 10 471,0	- 1 266,5	55,6	55,6	27,8	27,8	-	0,0	0,0	-	0,0	0,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 11 793,1	- 10 526,6	- 1 266,5	-	-	-	0,0	-	-	0,0	-	-	0,0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	11 793,1	10 526,6	1 266,5	-	-	-	0,0	-	-	0,0	-	-	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	11 793,1	10 526,6	1 266,5	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 55,6	- 55,6	-	- 55,6	- 55,6	- 27,8	- 27,8	-	-	-	-	-	-
კლება	55,6	55,6	-	55,6	55,6	27,8	27,8	-	-	0,0	-	-	0,0
საშინაო	55,6	55,6	-	55,6	55,6	27,8	27,8	-	-	0,0	-	-	0,0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	55,6	55,6	-	55,6	55,6	27,8	27,8	-	-	0,0	-	-	0,0
VIII. ბალანსი	- 0,0	- 0,0	-	0,0	0,0	0,0	0,0	-	-	-	-	-	-

2.2 გასული 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

2023 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა **44 509.5** ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა შეადგინა **51 456.9** ათასი ლარი, რაც 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლის **103.3%**-ია.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია **49 982.9** ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (**43 902.5** ათასი ლარი) **113.9%**-ია და მთლიანი - შემოსულობების **97.4%** შეადგინა. მათ შორის:

გადასახადები:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის **16 458.8** ათასი ლარი. რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის **13 557.2** ათასი ლარის **103.8%**-ია. მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს **30.7%**-ს.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია **5 099.4** ათასი ლარი შესრულება 99.9%. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი- **1 982.5** ათასი ლარი) შედარებით **3 116.9** ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული²

გრანტები 2023 წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გრანტის სახით საანგარიშო პერიოდში გრანტის სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **17 126.4** ათასი ლარი. მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორც იელებლად - **380.0** ათასი ლარი, მოსწავლეების ტრანსპორტირებისათვის - **125.9** ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი **300.0** ათასი ლარი, ბაკურიანის განვითარების ფონდისთვის **4 500.0** ათასი ლარი¹, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის **1 990.0** ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - **9 830.5** ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გრანტის სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა **11 553.9** ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი **333.2** ათასი ლარი მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილებისათვის **225.0** ათასი ლარი

და მოსწავლეების ტრანსპორტირებისათვის **108.2** ათასი ლარი. სპეციალური ტრანსფერი **2 399.0** ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი **6 990.5** ათასი ლარი და განახლებული რეგიონრბის დაფინანსება (მგფ) **1 831.2** ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა **15 498.8** ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა **16 397.6** ათასი ლარი ანუ გეგმის **105.8 %**. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს **31%-ს**

შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	გადახრა	შესრულების%
შემოსავლები	43,902.5	49,982.850	6080,3	113,9%
გადასახადები	13557,2	16458,4	395.6	103.8%
გრანტები	14846,6	17126,4	- 2279,8	115%
სხვა შემოსავლები	15498,8	16397,6	898,8	105.8%
არაფინანსური აქტივების კლება	607,0	1474,0	867.0	242,8%
სულ შემოსულობები	44509,5	51 456,9	6947,4	115,6%

არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **1 474.0** ათასი ლარი რაც შესაბამისი გეგმის (**607** ათასი ლარი) **242.8%**-ია. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა **814.3** ათასი ლარი, ასევე ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი **659.7** ათასი ლარი, აღნიშნული შემოსავალი საანგარიშო პერიოდში მიღებულია სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე.

2023 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5674,7 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 11793,3 ათასი ლარი.

2023 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების მაღალი - 93.5%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 29478.8 ათას ლარს შეადგენს

ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა						
	2022 წელი ფაქტი		2023წელი ფაქტი		2024 წელი გეგმა	
	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე 24700	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე 24900	ათას ლარებში 24500	ერთ სულ მოსახლეზე
დასახელება						
შრომის ანაზღაურება	2 796.1	103	3204.8	128	3778.5	154
სხვა მიმდინარე ხარჯები	2 122.5	86	667.9	26	1005.1	41

კაპიტალური ხარჯები	1 975.2	79	2869.0	115	1411.4	57
გადასახდელები სულ ბორჯომი	41147.1	1665	45341,5	1820	55883,9	2280
გადასახდელები სულ საქართველო	11,720,475.0	474513	22,311,291,1	896035	25,030,420,7	102164
შემოსავლები საკუთარი წყაროდან	9013,4	364	12074,9	484	12700,6	518
გრანტები (ტრანსფერები)	11553,9	467	17126,4	687	10829,0	442
სულ ბორჯომის შემოსავლები	34.575.2	1399	39575,2	1589	44229,0	1805
სულ საქართველო	9,696,160.0	392557	18,239,900,0	732526	20,731,000,0	846163

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 7 459,9ლარი
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –8 808,3ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 4 841,6 ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 11 134,6 ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –132,0 ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 4 937,5ლარი;
- ✓ განათლება –3 904,0ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა -3 999,0 ლარი.

ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი
--------------------	------------	-----------------

7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7 459,9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8 808,3
7.5	გარემოს დაცვა	4 841,6
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	11 134,6
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	132,0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 937,5
7.9	განათლება	3 904,0
7.10	სოციალური დაცვა	3 999,0

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა **45 341.5** ლარი, შორის:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება
- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
- ❖ კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი
- ❖ განათლება;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა.

პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და არსებულის მოვლა პატრონობა. გარე-

ვიდეო სამელთვალყურეო კამერების შექმნა და მოვლა პატრონობა. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შენობების რეაბილიტაცია. საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვა, განახლებული რეგიონების დაფინანსება (მგფ), სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და სამოქალაქო ბიუჯეტი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 2023 წელში სულ დაფინანსდა 22 707.5 ათასი ლარით (გეგმა 26 061.6) შესრულება 87.1%-ტი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 6 489.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7 091.8 ათასი ლარის 91.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

2023 წლის გეგმა 4 998.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 4 649.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 93%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული საერთაშორისი სტანდარტების გზები და საგზაო ინფრასტრუქტურა. უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტში დაზიანებული გზების შეკეთება და რეაბილიტაცია. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქ. ბორჯომში კოსტავას ქუჩის(იუსტიციის სახლის მიმართულება) რეაბილიტაცია; სოფ. ქვაბისხევში ეკლესიასთან მისასვლელი გზის, სოფ. ჭობისხევში სკოლის უკან მდებარე უბნის მისასვლელი გზის, დაბა ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის (სასტუმრო მზიური ველის მიმდებარედ); სოფ. საკირეში შიდა საუბნო გზის; სოფ. მოლითის მისასვლელი გზის; სოფ. დგვარში შიდა საუბნო გზის; სოფ. მზეთამხევი თედაშვილების უბანში საავტომობილო გზის, სოფ. ტიმოთესუბანში ახალ დასახლებაში შიდა საუბნო გზის; სოფ. დვირში ხუციშვილების უბანში გზის და სოფ.ყვიბისში ბერის საყდრებში მის ასვლელი (I მონაკვეთი) გზის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი მშენებლობა და რეაბილიტაცია განხორციელდა 8300 კმ მონაკვეთის გზებზე.

ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება (ქვეპროგრამის კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა **118.8** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **80,5 %** (გეგმა **147.7**) ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული ტროტუარები, ფანჩატურები და ავტომოსაცდელები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში გზის გამყოლი მოაჯირების, ფანჩატურების და ავტომოსაცდელების რეაბილიტაცია; ქ. ბორჯომში, გზის ფეხით სავალ ნაწილზე ბეტონის ბოძკინტების მონტაჟი, ჩაანკერება; ქ. ბორჯომში მესხეთის ქუჩაზე საყრდენი კედლის, ღობის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი: რეაბილიტირებულია 13 ავტომოსაცდელი და 25 ფანჩატური.

გარე ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების და სიჩქარის რაღარების შექმნა-დამონტაჟება ქვეპროგრამის კოდი (02 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

2023 წელს გეგმამ შეადგინა **675. 0** ათასი ლარი, საკასო ხარჯი **670.5** ათასი ლარი, შესრულება **99,3 %**.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა არსებული ვიდეო კამერების მოვლა პატრონობა და კამერების შექმნა/ მონტაჟი ქ.ბორჯომში არსებულ სკვერებისა და ცენტრალურ ისტორიულ პარკში, ასევე დაემატა სიჩქარის შემზღვეველი კამერები ქალაქის ტერიტორიაზე.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობა (ქვეპროგრამის კიდი 02 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1.050.3** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **82.7%** (გეგმა **1.270.3**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარდა ინფრასტრუქტურის რეგულარული და სისტემური მოვლა-პატრონობა, საგზაო ინფრასტრუქტურის ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება. არსებული მოაჯირების, სახიდე გადასასვლელების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება, მათი მოვლა პატრონობა, ზამთრის პერიოდში განხორციელდა გზების, ხიდების, ფეხით სავალი ნაწილის გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან.

წყლის სისტემისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

საკასო ხარჯმა შეადგინა **753.1** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **86.8%** (გეგმა **867.6**) ათასი ლარი.

წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამის კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **121.8** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **53.6%** (გეგმა **227.0**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა: წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გამართულად ფუნქციონირების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია:

მიღწეული მაჩვენებელი : წყლის და საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობა.

განმარტება: პროექტი დაბა ახალდაბაში კანალიზაციის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოცხადებული ჩაშლილი ტენდერების გამო ვერ განხორციელდა 2023 წელს, ამდენად საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაა, რადგან აღემატება 30%-ს განვმარტავთ. პროექტის განხორციელება მიმართული ნაშთით დაიგეგმა 2024 წელს.

ბორჯომის სოფლის წყალი: (ქვეპროგრამის კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის სოფლის წყალი.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **631.3** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **98.6%** (გეგმა **640.6**) ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სათავე ნაგებობებისა და წყლის სისტემის მოვლა პატრონობა და უსაფრთხოება.

ქვეპროგრამის აღწერა: ა(ა) ბორჯომის სოფლის წყლის მიერ სისტემატიურად ხორციელდება სათავე ნაგებობებისა და წყლის სისტემის შემოწმება და მოვლა-პატრონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეძენილი იყო 1868 ცალი მილის გადასაბმელი ქურო, უნაგირი, გადამყვანი, 105 ცალი ვინტილი, ურდული, სარქველი. დაზიანებული უბნების აღმოსაფხვრელად შეძენილი და გახარჯული იქნა სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილები 3400 გრ/მ.

მიღწეული შედეგი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირებული და გამართული სათავე ნაგებობი და წყალმომარაგება.

გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსდა **1 529.7** ათასი ლარით, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **1 860.5** ათასი ლარი შესრულება **82.2%**.

გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 133.4** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **77.9%** (გეგმა **1 455.5**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გარე განათების ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მაღალმთიან დასახლებებში: თორში, გუჯარეთში, კოდიანზე და გომნაში მცხოვრები მოსახლეობისათვის მზის ელექტროსადგურების შექმნა, ბორჯომში ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდა საახალწლო აქსესუარების შექმნა.

მიღწეული შედეგი: უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება და გარე განათების ქსელის გაფართოება.

ა(ა)იპ ბორჯომის გარე განათება (ქვეპროგრამის კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის გარე განათება.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **396.3** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **97.8%** (გეგმა **405.0**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოების განხორციელება;

ტერიტორიაზე განათებასთან დაკავშირებით სარემონტო, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება; შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, გვირაბების, სკვერების განათება და მომსახურება; სადღესასწაულო დეკორატიული გარე განათების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად.

მიღწეული შედეგი: გამართული გარე განათების სისტემა.

შეფასების ინდიკატორი: შეცვლილია 2820 ცალი სოდიუმის და ლედ.ნათურები, სხვადასხვა კვეთის 5470 მ კაბელი, 1280 მ. პოლიეთილენის მილი, 228 ცალი პროექტორი.

მშენებლობა. ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **5 368.0** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა **4 118.4** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **76,7%**.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **2 582.1** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **82.4%** (გეგმა **3 132.4**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში არსებული ტურისტული ცენტრის რეაბილიტაცია; ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, პარკის ტერიტორიაზე მდებარე შენობის დემონტაჟის სამუშაოები; ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ#85-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია (გარდამავალი); რუსთაველის ქ#93-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია (გარდამავალი); ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ#93-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია (გარდამავალი); მესხეთის ქ.#146ა და 146ბ-ში არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია(გარდამავალი); რუსთაველის #107-ში მდებარე შენობის მოსამზადებელი (დემონტაჟისა და გაწმენდის) სამუშაოები; სააკაძის ქუჩა #2-ში არსებული ფასადის რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგი: რეაბილიტირებული კორპუსების ფასადები და სახურავები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **716.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **73.8%** (გეგმა **969.8**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ. I შესახვევის #5 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის; გურამიშვილის ქ. #4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი

64.03.14.048.01.004) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების; თორის ქუჩა #58 და #60- ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების, 9 აპრილის ქ. #22-ში და რუსთაველის ქ. #95 არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის ; შანიძის ქ. #9-ში საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო მაგისტრალის; ფიროსმანის ქ. #19-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის; რუსთაველის პირველი შესახვევი #1ა-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის ; პეტრე იბერის ქ. #7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის; რუსთაველის ქ. #79-ში ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის; მესხეთის ქ. N7-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს; რუსთაველის ქუჩა #147-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 64.03.11.061.01.500) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ჩრდილო-დასავლეთის ფასადის მზიდ კედლებში არსებული კარისა და ფანჯრის დაზიანებული ღიობების გამლიერება; ფალიაშვილის ქ. N4-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე თოვლდამჭერების მოწყობა; მესხეთის ქ. N107-ში ცხრა სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და ლიფტის; მესხეთის ქ. N105-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და ლიფტის რეაბილიტაცია; თორის ქ. N118-ში თორმეტ სართულიანი კორპუსის ლიფტის; ნინოშვილის ქ.#1ბ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგი: ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებული შენობები გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმა.

შედეგის ინდიკატორი: რეაბილიტირებულია 14 საცხოვრებელი ბინის სახურავი, 3 ბინის ლიფტი და 1 სადარბაზო.

საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 02 04 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **820,2** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **64.8%** (გეგმა **1 265.8** ათასი ლარი).

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: განხორციელდა ქ. ბორჯომში გოგიას ციხის ქ#6-ში საყრდენი კედლის მოწყობა; რუსთაველის ქ#107-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის, თორის ქ. #40-ის მიმდებარედ ფერდის დამცავი კედლის მოწყობა; გელოვანის ქუჩის გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები. ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში მდ. გუჯარულაზე ნაპირდამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები და სოფ. მზეთამზეში საავტომობილო გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ჭობისხევში ნაპირსამაგრი კედლისა და სოფ. ყვიბისში ე.წ "კვახიანი ღელეზე" ნაპირდამცავი კედლის მოწყობა (I ეტაპი).

მიღწეული შედეგი: მოწყობილი გაბიონები და საყრდენი კედლები.

განმარტება. დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ხელშეკრულების შეწყვეტა "კვახიანი ღელეზე" ნაპირდამცავი კედლის მოწყობის სამუშაოზე. ასევე რუსთაველის #107-ში კედლის მოწყობა გამოცხადდა მრავალწლიანი შესყიდვით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 418.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **95.7%** (გეგმა **1 482.1**) ათასი ლარი.

სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 05 01)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **86.7** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **61.9%** (გეგმა **140.0**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეებისა და სანიაღვრე ჭების მოვლა- პატრონობა.

მიღწეული შუალედური შედეგი: მოწესრიგებული სანიაღვრე სისტემა და სანიაღვრე ჭები.

განმარტება. დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოცხადებულია მრავალწიანი შესყიდვა, რის შედეგადაც ვერ მოხერხდა თანხის ანაზღაურება.

ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (ქვეპროგრამის კოდი 02 05 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **892.8** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.0%** (გეგმა **901.5**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე სანაპიროზე სკვერის მოწყობა (მე-2 ეტაპი); სადროშე ბოდის მონტაჟის სამუშაოები; ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების (გამარჯვების ქ.#33, ხანძთელის ქ.N1,ნიკოლაძის ქ. #19, მესხეთის ქ.#31გ. მესხეთის ქ.#105,

რუსთაველის ქ.91-ის და 93-ის მიმდებარედ, თორის ქ.#6, რუსთაველის ქ. 83-ის მიმდებარედ, თორის ქ#118, წმინდა ნინოს ქუჩის მიმდებარედ) რეაბილიტაცია; ქ.ბორჯომში QR კოდების წამკითხველი კუბების, საინფორმაციო მონიტორებისა და მ.კოსტავას ბაღში ღია კინოთეატრისათვის მონიტორისა და აპარატურის შექმნა.

მიღწეული შედეგი: მოწესრიგებული და რეაბილიტირებული სკვერები.

შესრულების ინდიკატორი: 2023 წელს მოწყობილი და რეაბილიტირებული იყო 11 სკვერი.

ბორჯომის გამწვანება 2012 (ქვეპროგრამის კოდი 02 05 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **326,3** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.8%** (გეგმა **327.1**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის გამწვანება 2012

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და მის გარე უბნებში არსებულ სკვერებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: შეტანილი იქნა საყვავილე კლუმბებში, მრავალწლიანი მცენარეთა ირგვლივ და ბალახის გაზონებში ჩაბარვით ორგანული სასუქი ბიოგროუ სოლიდი. სკვერებში დაირგო მსხვადასხვა სახეობის სეზონური ყვავილი. შეიწამლა შხამ ქიმიკატებით (აქტარა, კუნგ-ფუ), ბუჩქებისა და წყავის მრავალწლიანი ბუჩქები მავნებლების საწინააღმდეგოდ. ქალაქში და ქალაქის გარე უბნებში არსებული ბაღები, პარკები და გამწვანებული ზოლები გაითიბა, მოხდა გათიბული მასის მოგროვება და მათი გატანა. სკვერებში არსებული ყველა საბორდიურე ბუჩქის (ტუია, ლუგუსტრუმი, წყავი, ბუჩ, ემონიუმი) გაკრეჭვა და ფორმირება სამი მხრიდან. ახალშენის დასახლებაში მიმდებარე სკვერში მოვახდინეთ ახალი ნარგავების ეგრეთ წოდებული არიზონას კვიპაროსის აბმა ნარგავის გასამყარებლად. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებულ გაზონებში, ბაღებში, პარკებსა და სკვერებში ყოველდღიურად ხდება ჩამოცვენილი ფოთლებისა და მსხვადასხვა შემთხვევითი ნაგვის შეგროვება.

მიღწეული შედეგი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგებული და გამწვანებული სკვერები, გაზონები, ბაღები და პარკები.

შესრულების ინდიკატორი: მოწესრიგდა და გამწვანდა 22 სკვერი. დაირგო 8166 ცალი მსხვადასხვა სახეობის ყვავილები.

სასაფლაოების მოვლა პატრონობა (ქვეპროგრამის კოდი 02 05 05)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **112.7** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.3%** (გეგმა **113.5**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის სასაფლაო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა პატრონობის უზრუნველყოფა. საფლავებამდე მისასვლელი შიდა გზების, ჩიხებისა და ბილიკების გაწმენდვა, ბალახის მოთიბვა, ბუჩქების გაკრეჭვა და ხეების გადაბეღვა. ასევე სისტემატიურად ხდება საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნაგავის შეგროვება, ბორჯომის ცენტრალური და არდაგნის სასაფლაოების ტერიტორიაზე ხშირად გროვდება ქარისგან და თოვლისგან გადატეხილი ხმელი ხეების ნარჩენები რომელთა შეგროვება და გატანა ხდება დროულად დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ.

მიღწეული შედეგი: დასუფთავებული და მოწესრიგებული სასაფლაოები.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **2 672.4** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **98.9%** (გეგმა **2 703.5**) ათასი ლარი.

მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (ქვეპროგრამის კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 711.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.6%** (გეგმა **1 717.7**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის ტრანსპორტი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება შეუფერხებლად, შიდასაქალაქო და საგარეუბნო მარშრუტებზე; ტარიფების შენარჩუნება; მოსწავლეთა გადაყვანა დროულად და უსაფრთხოდ სასწავლო დაწესებულებებში; ტექნიკურად გამართული ტრანსპორტის უზრუნველყოფა; სპეც-ტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება.

მიღწეული შედეგი: განახლებული ავტოპარკი. მოსახლეობისა და მოსწავლეთა დროული და უსაფრთხო ტრანსპორტირება.

სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (ქვეპროგრამის კოდი 02 06 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **960.9** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **97.5%** (გეგმა **985.8**) ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი ერთეული II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების და 6 ერთეული ავტობუსის შეძენა.

მიღწეული შედეგი: შეძენილია ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დოკუმენტაციის შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **356.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **64.1%** (გეგმა **556.1**) ათასი ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება-შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

მიღწეული შედეგი: ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

განმარტება: დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ხელშეკრულების ვადის ფარგლებში ვერ მოხერხდა პროექტის წარმოდგენა და ასევე საჭირო გახდა კორექტირება.

განახლებული რეგიონების დაფინანსება (მგვ) (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 458.8** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **88.9%** (გეგმა **1 641.2** ათასი ლარი).

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში ითვალისწინებს ხელსაყრელი და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, ტურისტულად მიმზიდველი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში მ.კოსტავას სახელობის სკვერი და მოედნის რეაბილიტაცია

მიღწეული შედეგი: ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის კეთილმოწყობილი და რეაბირტირებული კოსტავას სახელობის სკვერი.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **2 665.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **85.5%** (გეგმა **3 118.4** ათასი ლარი).

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგან მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები. კერძოდ ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე გზის დამჭერი კედლის რეაბილიტაცია და მესხეთის # 31-ში ბუნებრივი

აირის აფეთქების შედეგად დაზიანებული კორპუსის ფასადის და ლიფტის რეაბილიტაცია. ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.საკირეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლისა და ხიდის რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგი: სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამები (პროგრამული კოდი 02 10)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 144.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **90.2%** (გეგმა **1 268.0**) ათასი ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე. რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარიმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად.

მიღწეული შედეგი: სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ცხოვრების დონის ამაღლება.

შედეგის ინდიკატორი: 2023 წელს სულ სოფლად განხორციელდა 36 პროექტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 11)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **101.7** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **97.4%** (გეგმა **104.5**) ათასი ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2022 წელს კონკურსის შედეგად მოსახლეობის მიერ შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ სადგერიდან გოგირდის აბანოებამდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგი: ტურისტებისა და მოსახლეობისათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

(პროგრამული კოდი 03 01) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 077.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9 %-ია (გეგმა 2080.0 ათასი ლარი) პროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები: უზრუნველყოფილია ქალაქსა და დაბაში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას . ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდა ბორჯომის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერების, ტროტუარების სავალი ნაწილების დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდა და მორეცხვა. ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა და კირით შეწამვლა. ფანტანების და სკვერების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება. მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერის, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურება. საფეხმავლო ბილიკების და სკვერების გველების საწინააღმდეგო დეზინფექცია. დაზიანებული ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა დასახლებაში ბინადარი უპატრონო-მიუსაფარი შინაური ძაღლების დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით. მათზე ხდებოდა საიდენტიფიკაციო საშუალებების განთავსება, აცრები და კასტრაცია-სტერილიზაცია.

მიღწეული საბილოო შედეგი და შეფასების ინდიკატორები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის და გარემოს დაცვის გაუმჯობესება, გაზრდილი დასუფთავებული ტერიტორიები.

შეფასების ინდიკატორები:

ღონისძიებების დასახელება	ზომის ერთეული	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	განმარტება
დაგვა-დასუფთავება	კვ.მ	151510	151510	0	
უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის მართვა და თავშესაფარში გადაყვანა	ცალი	233	180	22,74%	ჩაშლილი ტენდერის გამო ვერ განხორციელდა დაგეგმილი რაოდენობის გადაყვანა
ნარჩენების გატანა	კუბი	32698	32600	0,29%	
გადაბეღვა და ხეების კირით შეღებვა	ცალი	500	500	0	

პრიორიტეტი განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
04 00	განათლება	3992.4	3904.0	97.8%
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3462.4	3382.2	97.7%
04 01 01	ბაკურიანის სკოლამდელი არზრდის დაწესებულება	413.2	397.2	96.1%
04 01 02	ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“	2777.5	2771.0	99.8%
04 01 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	271.8	214.0	78.7%
04 02	საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება	430.0	421.8	98.1%
04 03	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	100.0	100.0	100.0%

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი **04 01**) ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა **3 382.2** ათასი ლარი შესრულება **97.7%** გეგმიური მაჩვენებელი (**3 462.4** ათასი ლარი)

ბაკურიანისა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ქვეპროგრამის კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **413.2** ათასი ლარი, საკასო შესრულება **397.2** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **96.1%**

ქვეპროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით, სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს. ბაკურიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სულ დაახლოებით 3-დან 6 წლამდე 80 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. აქედან 44 ბიჭია და 36 გოგო. მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) ბაღის პროგრამები კომპლექსურია და მეთოდიკა სრულყოფილი და მოქნილი. ხოლო ბავშვები ეცნობიან გარემოს, სწავლობენ მეტყველებას აზროვნებას და ემზადებიან სასკოლოდ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობაა 88 აღსაზრდელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობაა 90 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა 35, 4-5 წლის ბავშვების რაოდენობა 30, სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობაა 25

გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა – 12

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობა 80 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა 30, 4-5 წლის ბავშვების რაოდენობა 21, სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა 29

ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ (კოდი 04 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **2 777.5** ათასი ლარი, საკასო შესრულება **2 771.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **99.8%**

ქვეპროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით, სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს. 2-დან 6 წლამდე 650 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. აქედან 350 ბიჭია და 300 გოგო. მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის ფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება,

სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) ბაღის პროგრამები კომპლექტურია და მეთოდიკა სრულყოფილი და მოქნილი. ხოლო ბავშვები ეცნობიან გარემოს, სწავლობენ მეტყველებას აზროვნებას და ემზადებიან სასკოლოდ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა რაოდენობა 650 აღსაზრდელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს აღსაზრდელთა რაოდენობა 650 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 2-3 წლის ბავშვების რაოდენობა 130 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა 142 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 4-5 წლის ბავშვების რაოდენობა 140 სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა 238, გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა 31 და ტექნიკური პერსონალი 11.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობა სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 2-3 წლის ბავშვების რაოდენობა 130, სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა 135, სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 4-5 წლის ბავშვების რაოდენობა 135, სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა 230 .

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (კოდი 04 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **271.8** ათასი ლარი, საკასო შესრულება **214.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **78.7%**

ქვეპროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ახალდაბის საბავშვო ბაღის შენობის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია, ასევე სახურავზე დამონტაჟდება მზის პანელები და ქ.ბორჯომში #4 საბავშვო ბაღის სახურავის მოწყობა და შიდა კოსმეტიკური რემონტი.

მიღწეული შედეგი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული ინფრასტრუქტურა.

საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია (კოდი 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **430.0** ათასი ლარი, საკასო შესრულება **421.8** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **98.1%**

პროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი: აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა დაბა ბაკურიანში საჯარო სკოლის დემონტაჟთან დაკავშირებით სასწავლო პორცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფა(ქირა),საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 17-ე მუხლის შესაბამისად დელეგირებული ფუნქციის შესრულებას, რომელიც თავისმხრივ მოიცავს სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირება გულისხმობს ისეთი სოფლებიდან და დასახლებიდან სადაც არ არის სრული საჯარო სკოლა, ბავშვების წაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას, ლიკანის სკოლის რეაბილიტაცია

მიღწეული შედეგი: საჯარო სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა და საანგარიშო პერიოდში მოსწავლეების ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება (კოდი 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის“

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **100.0** ათასი ლარი, საკასო შესრულება **100.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **100%**

პროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ "ჩვენი ბორჯომისათვის"-თან არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის ფარგლებში შემცნებით-შემოქმედებითი ბანაკების, ტრენინგების,

ვორქშოპების, შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, ვიქტორინების, სპორტული ღონისძიებების, კონკურსების და ლექციების ჩატარება. **მიღწეული შედეგი:** პროგრამის განხორციელების შედეგად მივიღებთ განათლებულ, სწავლასა და წინსვლაზე ორიენტირებულ ახალგაზრდა თაობას.

პრიორიტეტი კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,197.3	4,937.5	95.00%
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,686.5	1,651.5	97.90%
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,155.3	1,127.5	97.60%
05 01 01 01	ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა	913.2	913.1	100.00%
05 01 01 02	ა(ა)იპ ბორჯომი ფეხბურთი 2013	242.2	214.4	88.50%
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	147.0	143.1	97.30%
05 01 03	ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა	384.2	380.9	99.10%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,392.9	3,169.0	93.40%
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2,000.1	1,887.0	94.30%

05 02 01 01	მუსიკალური სკოლების დაფინანსება	411.7	409.8	99.50%
05 02 01 02	საბიბლიოთეკო გაერთიანება	453.3	453.3	100.00%
05 02 01 03	ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	1,035.1	923.8	89.30%
05 02 01 05	ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი	100.0	100.0	100.00%
05 02 02	ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები	847.9	747.1	88.10%
05 02 03	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები	81.2	74.7	92.00%
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	285	284	99.60%
05 02 06	ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)	178.7	176.2	98.60%
05 03	საინფორმაციო მომსახურება	117.8	117.0	99.30%

სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01) დაზუსტებული გეგმა 1 686.5 ათასი ლარი, შესრულება 97.9%-ი.
(გეგმა 1 651.5 ათასი ლარი)

სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა - საკასო ხარჯი **913.1** ათასი ლარი, გეგმა **913.2** შესრულება **100.0%-ი**.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: აღნიშნული ქვეპროგრამით მიმდინარე წელს სასპორტო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტებულმა გუნდებმა იასპარეხეს 155-რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მათ შორის : ძიუ-დოში-18, ბ/რ ჭიდაობაში-16, რაგბში-14, მძლეოსნობაში-13, კარატეში-5, კიკ-ბოქსინგში-13, მკლავჭიდში-8, კრივში-5, ჭადრაკში-4, კალათბურთში-4, სამთო-სათხილამურო-

1, ფეხბურთში-51 შეხვედრა (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში).გასულ წელს სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობით მაღალორგანიზებულ სპორტულ დონზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუ-დოში,როგორც საგაზაფხულო ისე საშემოდგომო(გოგონებსა და ვაჟებს) შორის, ბ/რ ჭიდაობაში. დაახალდაბის სტადიონზე- გაიმართა სამცხე-ჯავახეთის საფეხბურთო ჩემპიონატის I- II ტური. რესპუბლიკური ტურნირი „ქართულ ჭიდაობაში“.

ხელი შეეწყო ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ფიზიკური სრულყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი 2022 წელს გაიმართა 132 სპორტული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი 155 სპორტული ღონისძიება გაიმართა.

მიღწეული მაჩვენებელი 2023 წელს გაიმართება არანაკლებ 150 სპორტული ღონისძიებისა.

ა(ა)იპ ბორჯომი ფეხბურთი 2013 (ქვეპროგრამის კოდი 05 01 01 02)

საკასო ხარჯი **214.4** ათასი ლარი, გეგმა **242.2** შესრულება **88.5%-ი**.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი 2013“

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: ბავშვთა მაქსიმალური ჩართულობა ფეხბურთში.საანგარიშო პერიოდში მოხდა ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. ჩამოყალიბდა ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საფეხბურთო ჩემპიონატში.

მიღწეული შუალედური შედეგები: ბავშვთა ჩართვა ფეხბურთში.

სპორტული ღონისძიებები: (ქვეპროგრამის კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **147.0** ათასი ლარი, საკასო შესრულება **143.1** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **97.3%**

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორცაა; უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე და სხვა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სარაგბო კლუბი ტაო.

მიღწეული შუალედური შედეგი: გაზრდილია მოსახლეობის დაინტერესება.

ატრაქციონებისა, სპორტული მოედნებისა და სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **384.4** ათასი ლარი, საკასო შესრულება **380.9** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **93.4%**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 5 ლოკაციაზე გარე გამოყენების ქუჩის ტრენაჟორების გადახურვის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. N43-ში და ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგი: რეაბილიტირებული და მოწყობილი ინფრასტრუქტურა.

კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

დაზუსტებული გეგმა **3 169.0** ათასი ლარი, შესრულება **93.4%**-ი. (გეგმა **3 392.9** ათასი ლარი)

მუსიკალური სკოლის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: საკასო ხარჯი **409.8** შესრულება **99.5%** (გეგმა **411.7**)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის ზ.ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა.

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: აღნიშნული ქვეპროგრამით სუბსიდირება გაეწია ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას. სკოლაში 2023 წელს ირიცხებოდა **307** მოსწავლე, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ საერთაშორისო, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში. 2023 წელს სკოლა დაამთავრა 40 მოსწავლემ და გაიცა შესაბამისი დამამთავრებელი მოწმობები. სამუსიკო სკოლის ორმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ქ.პრალაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, თ. ამირეჯიბის სახ. საერთაშორისო კოკურსში მონაწილეობა მიიღო ოთხმა მოსწავლემ. 2023 წელს სამუსიკო სკოლის ანსამბლ „ოქტავამ“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსებსა და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში.

მიღწეული შუალედური შედეგი: გაზრდილია მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში.

საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა **453.3** ათასი ლარი, საკასო ხარჯი **453.3** შესრულება **100%-ი**.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-ადმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ფონდების დაცვის უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა, მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა : ინტელექტუალური თამაშები „რა,სად,როდის?“. აღინიშნა: სახელმწიფო დროშის დღე, პოეტებისა და მწერლების საიუბილეო თარიღები; მოეწყო ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები;გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია და ბესტსელერების განხილვა; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. წარმოდგენილ იქნა მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემი ვეფხისტყაოსანი“

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრები - საბავშვო მწერალ ლილი ალფაიძესთან, პოეტებთან- ნათია ჯიქურაშვილთან, ხათუნა ცომაიასთან; მწერლებთან- ნათია ჯაგოდნიშვილთან, გიორგი ჭანტურიასთან, სოფიო ჯაყელთან, თეა ირემაშვილთან, გიორგი ტაბიძესთან, ნუგზარ ბირკაიასთან, უშანგი ჯანგირაშვილთან. გაიმართა პოეტის, ექიმისა და მხატვრის - მარიზა ჯიქიას შემოქმედებითი საღამო

მიღწეული შედეგები: მკითხველისათვის შექმნილია მყუდრო, კომფორტული გარემო; გაზრდილია საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ხასიათის ღონისძიებები.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა 1 035.1 ათასი ლარი, საკასაო ხარჯი 923.8 შესრულება 89.3%-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

ქვეპროგრამის მიზანი და მიღწეული შედეგი: კ/ცენტრის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საზოგადოების სხვადასხვა სოც. ჯგუფების კულტურულ შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა და მათი დასვენების უაზრუნველყოფა. მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ თვითშემოქმედებით ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მოყვარულთა გაერთიანების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა. შესაბამისად, 2023 წელს კ/ცენტრსა და დაქვემდებარებულ ერთეულებში დასაქმებულია 97 თანამშრომელი, მ/შ 55 ქალი ხოლო ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენს 400 ბავშვს მ/შ კ/ცენტრში 210. კ/ცენტრში ფუნქციონირებს 2 ქორეოგრაფიული სტუდია, 1 თანამედროვე ცეკვების სტუდია, , ვოკალური სტუდიის 1 ჯგუფი, , სახალხო ანსამბლი და 2 გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი. ცენტრთან ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფება 10 სასოფლო კლუბი, მოსწავლე- ახალგაზრდობისა და წალვერის კულტურის სახლები. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი შემსწავლელი წრეები: ხეზე კვეთის წრე, ტიხრულ მინანქარზე მუშაობის წრე, გობელინზე ქსოვის და ხელნაკეთი თოჯინების შემსწავლელი წრეები, ფერწერისა და გრაფიკის შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სტუდია, მხატვრული კითხვის შემსწავლელი წრე. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე. სამეჯლისო ცეკვების წრე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბენეფიციართა რაოდენობაა 120 ბავშვი. წალვერის კულტურის სახლში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი, საესტრადო და ვოკალური ჯგუფები, ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფი

და ფოლკლორული ანსამბლი და საბავშვო თეატრალური წრე. წაღვერის კ/სახლის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 100 ბავშვს. სასოფლო კლუბებში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული წრეები. სასოფლო კლუბების ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 30 მოსწავლეს.

ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი (კოდი 05 02 01 05) საკასო ხარჯი 100.0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 100% (გეგმა 100.0) აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება პარკში მცენარეების განახლება, აგრეთვე განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა: კერძოდ ატრაქციონების შეკეთება ზაფხულის სეზონისთვის, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში მცენარეთა მოვლა, განახლება და დაცვა.

ეროვნული,სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები (კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა 847.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 747.1 შესრულება 88.1%-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მერიის ადმინისტრაციული სამსახური (კულტურის განყოფილება)

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეული, სახალხო, გასართობი სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებას. ღონისძიებები რომელიც მრავალი წელია ტარდება, გათვლილია ბორჯომში მცხოვრებ ყველა ასაკის და გემოვნების ადამიანებზე, ასევე ზაფხულისა და ზამთრის სეზონის გახანგრძლივებასა და ტურისტებისთვის სასიამოვნო, გასართობი გარემოს შექმნაზე. პროგრამები არის დატვირთული გასართობი-შოუ ელემენტებით, კონცერტებით, სპორტული აქტივობებით, ქართული ტრადიციული კულტურის წარმოჩენით. პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო და რეგიონალური ფესტივალების გამართვას. კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალები იმართება ყოველწლიურად და ითვალისწინებს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, მათ წახალისებას და დაჯილდოებას. სამეწარმეო ფესტივალის მიზანია ადგილობრივი მცირე მეწარმეების ხელშეწყობა, მათი პროდუქციის გამოფენა -გაყიდვების მოწყობა და პარალელურად სასიამოვნო, სადღესასწაულო გარემოს შექმნა. სოციალური აქტივობების მთავარი მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარების: შშმ პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებასთან და გარემოსთან ინტეგრაციაში ხელშეწყობა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ზრდა, რაც შესაძლებელია, მიღწეულ იქნას მოწვეული ინფო და პრეს-ტურებით,

ასევე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობით სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებაში (ბაზრობები, გამოფენები და სხვ.). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ღონისძიებები: ახალი წლის ღონისძიება, ქალთა დღესასწაულები, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროგრამა, კლასიკური მუსიკის კონკურსი, ფოლკლორული ფესტივალი, ტურისტული სეზონის გახსნა და ტურისტული დღეები, სოფლებში გაიმართება სახელობითი დღეები და სახალხო ღონისძიებები (ტაძრისში - გიორგი ათონელის ხსენების დღე, დღესასწაული ზედა ზონის სოფლებში, დაბა ახალდაბაში), და სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ "სამცხე -ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია"

მიღწეული შედეგი: გაზრდილია მოსახლეობის დაინტერესება კულტურულ ღონისძიების მიმართ - გაიზარდა დასწრება დარბაზში და ღია ცის ქვეშ ჩატარებულ კონცერტებსა და ღონისძიებებზე. შეინიშნება ახალგაზრდების გააქტიურება, მათი დასწრება და ინტერესი, ასევე გაზრდილია კმაყოფილების დონე (პირისპირი ინტერვიუ). ადგილობრივი მცირე მეწარმეები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორცაა „ბორჯომობა“, საახალწლო გამოფენა-გაყიდვები“, შშმ პირებისათვის განხორციელდა სპექტაკლის ჩვენება, ტკბილეულის პაკეტებით დასაჩუქრება და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა **74.7** ათასი ლარი, საკასაო ხარჯი **81.2** შესრულება **92.0%**-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქალაქ ბორჯომში წმინდა ნინოს ქუჩა N11-ში ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (ქვეპროგრამი კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა **285.0** ათასი ლარი, საკასაო ხარჯი **284.0** შესრულება **99.6%**-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია.

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება) (კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა **178.7** ათასი ლარი, საკასაო ხარჯი **176.2** შესრულება **98.6%**-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მერიის ადმინისტრაციული სამსახური (კულტურის განყოფილება)

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითარდა ახალგაზრდობის მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობას (დახმარებას) და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა.

საინფორმაციო მომსახურება (კოდი 05 03)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები: დაზუსტებულმა გეგმამ შედგინა **118.7** ათასი ლარი, საკასაო ხარჯი **117.0** შესრულება **99.3%**-ი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა: აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. განხორციელდა ტელევიზიასთან და პრესასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც საჯაროდ შუქდებოდა საკრებულოს სხდომები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრები და გაერთიანებული თათბირები, რომელიც შეიცავდა საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს.

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,572.5	4,131.0	90.3%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	133.7	132.0	98.7%
06 01 01	ჯანდაცვის ცენტრი	118.7	117.8	99.2%
06 01 02	ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობა და რეაბილიტაცია	15.0	14.3	95.0%
06 02	სოციალური დაცვა	4,438.8	3,999.0	90.1%
06 02 01	მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	1,914.0	1,709.9	89.3%
06 02 02	უფასო სასადილოს დაფინანსება	447.0	431.2	96.5%
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	3.6	2.5	68.1%

06 02 04	მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება	6.0	4.2	70.0%
06 02 05	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	177.0	147.0	83.1%
06 02 06	18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება	3.0	0.5	16.7%
06 02 07	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა	36.7	26.4	71.8%
06 02 08	ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება	3.6	3.6	100.0%
06 02 09	18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	311.0	310.5	99.8%
06 02 10	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	12.3	12.3	100.0%
06 02 11	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	449.2	400.8	89.2%
06 02 12	სოციალური დახმარებები	663.4	633.5	95.5%
06 02 13	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	250.0	223.5	89.4%
02 06 14	ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა	162.0	93.1	57.5%

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **132.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **98.7%** (გეგმა **133.7**) ათასი ლარი.

ჯანდაცვის ცენტრი: (ქვეპროგრამის კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: სალასო ხარჯმა შეადგინა **117.8** ათასი ლარი შესრულება **99.2%** (გეგმა **118.7** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და შედეგი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) იმუნიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

შედეგის ინდიკატორი: ინფექციური დაავადებების დროული გამოვლენა და იმუნიზაცია.

ამბოლატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **15.0** ათასი ლარი შესრულება **95.0%** (საკასო ხარჯი **14.3** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა, შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"-ს ბაკურიანის სამედიცინო დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისთვის, სერვისების უწყვეტი მიწოდების მიზნით, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, ექიმი ტრავმატოლოგის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **3 999.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **90.1%** (გეგმა **4 438.8** ათასი ლარი).

პროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ სოციალურად დაუცველი მომსახურეობის ცენტრი.

მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო მომსახურეობა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **1 709.9** ათასი ლარი შესრულება **89.3%** (გეგმა **1 914.0** ათასი ლარი)

პროგრამის აღწერა და მიზანი. აღნიშნული ქვეპროგრამით 100 %-ით დაფინანსდა ის სოც. დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე. მაქსიმალური გასაცემი თანხა 5000 ლარი. ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 160 000-დან 200 000-მდეა დაფინანსდებიან 100 %-ით და მაქს. გასაცემი თანხაა 3000 ლარი. ის ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოც. დაუცველთა ბაზაში და საჭიროებენ სტაციონარულ მომსახურებას დაფინანსდებიან 70 %-ით. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2000 ლარი. სრული დაფინანსება გაეწიოთ C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით, აუტისტური სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებს (სარეაბილიტაციო ცენტრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) ასევე მინდობით აღზრდაში მყოფ პირებს, ობლებს და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, 18 წლამდე შშმ პირებს, II მსოფლიო ომის მონაწილეებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მეზრძოლ შშმ ვეტერანებს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსდგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციების მონაწილეებს.

მაქსიმალური გასაცემი თანხა 3000 ლარი. სრული დაფინანსება გაეწიოთ კარდიოლოგიურ პაციენტებს წლის განმავლობაში 2500 ლარის ოდენობით. დაფინანსება ითვალისწინებს კალენდარული წლის განმავლობაში ფინანსური დახმარების გაწევას მხოლოდ კარდიოქირურგიული ჩარევის თანაგადახდისას ასევე მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას. 100 ლარამდე წარმოდგენილი ანგარიშგაქტურა დაფინანსდეს სრულად. ქვეპროგრამის მოქმედება არ ვრცელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობაზე, ტრანსპლანტაციის ხარჯებზე, ესთეტიკურ, პლასტიკურ ქირურგიაზე და კურორტულ მომსახურებაზე. ასევე არ დაფინანსდება არჩეული აყვანილი ექიმის და "ვიპ" პალატის ღირებულება. ბენეფიციართა დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად.

მიღწეული შედეგი: სამედიცინო მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის ზრდა:

შედეგების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 935 ბენეფიციარმა

დაგეგმილი მაჩვენებელი: 1500 ბენეფიციარზე

მიღწეული მაჩვენებელი: 2023 წელს ისარგებლა 1630 ბენეფიციარმა.

ა(ა)იპ ბორჯომის სოციალურად დაუცველი მომსახურეობის ცენტრი. (ქვეპროგრამის კოდი 06 02 02) ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა 431.2 ათასი ლარი შესრულება 96.5% (გეგმა 447.0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი. ქ.ბორჯომში სოციალურად დაუცველი და შეზღუდული მოსახლეობის საკვებით და ერთჯერადად სადილით მომსახურეობა.

შუალედური შედეგი: სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წელს მომსახურეობით ისარგებლა 165 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2023 წელს დაგეგმილ მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 175 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2023 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 175 ბენეფიციარმა.

ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები: (ქვეპროგრამის კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **2.5** ათასი ლარი შესრულება **68.1%** (გეგმა **3.6** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 250 ლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 100 ლარი.

შუალედური შედეგი: ტერიტორიული მთლიანობის მებრძოლთა და დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წელს მომსახურეობით ისარგებლა 30 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2023 წელს დაგეგმილ 30 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2023 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 14 ბენეფიციარმა.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულთა ერთჯერადი დახმარება 9 მაისს და 26 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“- სთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **4.2** ათასი ლარი შესრულება **70.0%** (გეგმა **6.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი. ქვეპროგრამით მომსახურეობა გაეწია დიდი სამამულო ომისა და მათთან გათანაბრებული ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას: დ/ს ომის ვეტერანებზე -300ლარი, გათანაბრებულებზე - 100 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე. ხოლო 26 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“- სთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება ითვალისწინებს დიდი სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას - 100 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე .

შუალედური შედეგი: ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებული ოჯახების ფინანსური დახმარება.

ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება. (ქვეპროგრამის კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **147.0** ათასი ლარი შესრულება **83.1%** (გეგმა **177.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი. დახმარება გაეწეა ერთჯერადად იმ ოჯახებზე რომლის ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წლის განმავლობაში. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 200-მდე ბენეფიციარი. ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ყველა ოჯახი მიიღებს 1000 ლარს ერთჯერადად, რაც გავლენას იქონიებს ოჯახის მატერიალური ხელშეწყობაზე. ტყუპი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში თანხა გაიცეს ახალშობილის რაოდენობის მიხედვით.

შუალედური შედეგი: ახლადბადებული ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება

საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 200 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2023 წელს დაგეგმილია 200 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი: ისარგებლა 134 ბენეფიციარმა.

18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება. ქვეპროგრამის კოდი (06 02 06)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **0.5** ათასი ლარი შესრულება **16.7%** (გეგმა **3.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლ ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისთვის ყოველთვიური დახმარება 250 ლარის ოდენობით და ერთჯერადად წელიწადში საკურორტო მომსახურება.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი. (ქვეპროგრამის კოდი (06 02 07)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **26.4** ათასი ლარი შესრულება **71.8%** (გეგმა **36.7** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება. ქვეპროგრამის კოდი (06 02 08)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **3.6** ათასი ლარი შესრულება **100%** (გეგმა **3.6** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სოციალური დახმარების ძირითადი მიზანია ღვაწლმოსილი ადამიანების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება. რაც წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერა.

18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ქვეპროგრამის კოდი (06 02 09)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **310.5** ათასი ლარი შესრულება **99.8%** (გეგმა **311.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება გაიცა 250 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტონგო ქულა 0-დან 160 000-მდე. ხოლო 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით დახმარება გაიცა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე 200 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი. სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის წახალისების გზით.

ქვეპროგრამი შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური თანადგომა.

მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებლები: 2023წელს ისარგებლა 100 ოჯახმა.

დაგეგმილი მაჩვენებლები: საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 107 ოჯახზე.

მიღწეული მაჩვენებლები: ისარგებლა 108 ოჯახმა.

მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამის კოდი (06 02 11)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **400.8** ათასი ლარი შესრულება **89.2%** (გეგმა **449.2** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მომართვამდე უწყვეტად 1 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

აღნიშნული პროგრამით სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 150 ლარით ის სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მოქმედი სარეიტინგო ქულა 0-160 000-მდე. ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 100 ლარით. დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად. დიალიზზე მყოფი მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა მოხდეს წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის კლინიკის მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ფორმა 100 ით (დედანიტ ერთჯერადად, ანგარიშ ფაქტურით აფთიაქიდან დაფინანსდეს ყოველთვიურად 100 ლარით. მედიკამენტებით შეძენისათვის კვარტალში ერთჯერადად დაფინანსდებიან მოქალაქეები 100 ლარის ოდენობით, რომლებსაც მინიჭებული აქვთ -შშმ სტატუსი კერძოდ: ენცეფალოპათიით, პარკინსონის დაავადებით(კანკალა რიგიდული ფორმა) და 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები.

150 ლარით დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები რომლებიც იმყოფებიან მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში და არ ექვემდებარებიან გადაადგილებას, ესაჭიროებათ მედიკამენტების და ჰიგიენული საშუალებების შეძენა. მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპატიო წოდების მქონე მოქალაქეებზე. წლიური ლიმიტი განისაზღვროს 1000 ლარით. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ შემუშავებულია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა. დაფინანსდება ოჯახში მცხოვრები თითოეული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვი ერთჯერადად არაუმეტეს 100 ლარისა. სრული დაფინანსება გაეწიოთ რეტის სინდრომის მქონე პაციენტებს მთელი წლის მანძილზე. განხორციელდეს საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი იმ ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 000-ს და დახმარება გაეწიოთ 200 ლარის ოდენობით.

სოციალური დახმარებები კოდი (06 02 12)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **633.5** ათასი ლარი შესრულება **95.5%** (გეგმა **663.4** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მორალური და ფინანსური თანადგომა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემა, კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალდაქორწინებულ წყვილებზე 300 ლარის ოდენობით, 18 წლამდე შშმ და დედ-მამით ობოლი ბავშვების

ყოველთვიური დახმარება და საკურორტო მომსახურება. 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე "ბავშვთა საერთაშორისო დღე"-სთან დაკავშირებით და მრავალშვილიან დედებზე "დედის დღესთან" დაკავშირებით. ასევე ხორციელდება ბორჯომის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უჭირისუფლო მიცვალებულების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ერთჯერადად. ყოველთვიური ფინანსური დახმარებების გაცემა ხორციელდება: მარტოხელა სოციალურად დაუცველ დედებზე (160 ათ ქულამდე) 100 ლარის ოდენობით, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულ მოქალაქეებზე. მრავალშვილიან ოჯახების და დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებზე კომუნალური გადასახადის წილობრივი დაფინანსებისთვის და დღის ცენტრი "თებე"-ს და ორგანიზაცია "ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით, ამასთანავე ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2-ჯერადად მატერიალური თანხის გაცემას (ახალ წელს და აღდგომას) მრავალშვილიანი ოჯახებზე, დედ-მამით ობოლო ბავშვებზე, მარტოხელა მშობლებზე, 18 წლ შშმ და 18 წლის ზევით 1 ჯგ. შშმ პირებზე, დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე, საქ. ტერ. მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვატერანებზე და მარჩენალდაკარგულ პირებზე(სარეიტ ქულით 160 000მდე)საქ. ტერ. მთლიანობისთვის შშმ ვეტერან ინვალიდებზე(დევენილებიც) ავღანეთის ომის ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულ პირებზე და ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებზე. ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაცველი მოახლეობის კომუნალურ სუბსიდირებას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.

ონკოლოგიური პაციენტების დახმარების ქვეპროგრამა (06 02 13)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **223.5** ათასი ლარი შესრულება **89,4%** (გეგმა **250.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რეგისტრირებული ონკოლოგიური ბენეფიციარების დაფინანსებას. პროგრამით ისარგებლებენ I, II და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიური ბენეფიციარები საჭიროებების მიხედვით. კერძოდ: ა) სადიაგნოსტიკო მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება ქიმიოთერაპიის კურსის მიმდინარეობისას; ბ) ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება; გ) ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსება საყოველთაო ან კერძო დაზღვევის შემდგომ დარჩენილ თანხაზე. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ფორმა N100 გაცემული შესაბამისი ონკოლოგიური დაწესებულების მიერ(დედანი), ანგარიშ-ფაქტურა (დედანი) და კალკულაცია (დედანი). ხოლო III და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიურ პაციენტებს, რაიონის ონკოლოგის ან ოჯახის ექიმის მიერ შევსებული ფორმა #100-ის (ჩანაწერი მედიკამენტების ჩამონათვალით), რეცეპტის და აფთიაქიდან წარმოდგენილი კალკულაციის(დედანი) საფუძველზე გაეწიოს დახმარება ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით.

ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერის ქვეპროგრამა (06 02 14)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: საკასო ხარჯმა შეადგინა **93.1** ათასი ლარი შესრულება **57.5%** (გეგმა **162.0** ათასი ლარი)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მოსარგებლეები არიან ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ფაქტობრივად მცხოვრები ან არარეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახები (მათ შორის შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი) რომელთა მიმართ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ შემუშავებულია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.

3. ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

ა) სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლის სტატუსის მქონე ბავშვის ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას 300 ლარის ოდენობით სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად საკანცელარიო, სასწავლო და პირადი ნივთების შეძენისათვის.

ბ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ოჯახის ყოველთვიურ ფულად დახმარებას ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მოქმედების ვადით ოჯახში მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება საკვები პროდუქტის, ჰიგიენური საშუალებების, ბავშვის ხელოვნური საკვებისა და ჰიგიენური საფენების შეძენას.

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა **32.283.4** ათასი ლარი მათ შორის:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება გაწეულმა ხარჯმა კი 12.539.1 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმის 55.0%.
- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები გაწეულმა ხარჯმა კი 6,023.4 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმის 78.6%.
- ❖ კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი გაწეულმა ხარჯმა კი 5,382.1 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმის 71.8%.
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; ხარჯმა შეადგინა 3,831.8 ათასი ლარი, შესრულება 85.8%.
- ❖ განათლება ხარჯმა შეადგინა 2,716.4 ათასი ლარი, შესრულება 86.8%.
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა ხარჯმა შეადგინა 1,790.8 ათასი ლარი, შესრულება 89,4%.

	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ცხრა თვის ფაქტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6 354,7	7 459,9	6 023,4
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 245,8	4 873,4	3 835,1
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 237,2	4 867,7	3 832,7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	8,6	5,7	2,5
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	-	-	-
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	83,1	75,9	33,9
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2 025,7	2 510,6	2 154,3
7.2	თავდაცვა	120,2	124,6	-
7.2.1	შეიარაღებული ძალები			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	120,2	124,6	-

7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-	-
7.3.1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3.2	სახანძრო-სამაშველო სამსახური	-		
7.3.3	სასამართლოები და პროკურატურა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 648,2	8 808,3	4 967,6
7.4.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	-	-	-
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა			
7.4.3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4.5	ტრანსპორტი	4 798,8	7 450,0	4 183,3
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 798,8	7 450,0	4 183,3
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7.4.6	კავშირგაბმულობა			
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები			
7.4.8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროსი			
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	849,4	1 358,4	784,3
7.5	გარემოს დაცვა	4 787,5	3 382,8	3 048,4
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1 871,2	2 077,0	1 790,8
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	149,4	86,7	105,3
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	2 766,9	1 219,1	1 152,3
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	9 088,2	11 134,6	6 313,8
7.6.1	ბინათმშენებლობა	2 672,7	2 582,1	824,3
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	868,3	753,1	897,0
7.6.4	გარე განათება	1 518,9	1 529,7	845,5
7.6.5	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4 028,3	6 269,7	3 746,9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	174,3	132,0	138,3
7.7.1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			

7.7 2	ამბულატორიული მომსახურება	29,1	14,3	15,0
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	105,4	117,8	113,8
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	39,9	-	9,5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 341,9	4 937,5	5 382,1
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 786,8	1 726,3	2 911,4
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2 193,1	2 810,3	2 231,0
7.8 3	ტელერადიომუწეებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	285,0	284,0	220,0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურება კულტურის სფეროში	77,0	117,0	19,7
7.9	განათლება	3 095,1	3 904,0	2 716,4
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2 906,5	3 382,2	2 439,1
7.9 2	ზოგადი განათლება	124,6	421,8	195,9
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	64,0	100,0	81,3
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება			
7.9 3	პროფესიული განათლება			
7.9 4	უმადლესი განათლება			
7 10	სოციალური დაცვა	3 238,2	3 999,0	3 693,5
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	1 989,1	2 334,2	2 386,7
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	368,9	431,2	278,0
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	298,1	551,1	434,8
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა		-	-
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	71,4	26,4	30,3
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	510,7	656,1	563,7
	სულ	36 848,2	43 882,7	32 283,4
		36 476,0	45 285,9	32 255,6
		372,1	- 1 403,2	27,8

საერთო აღნიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო **7 662.4** ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა კი **6 023.0** ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმის **78.6 %** ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების ხარჯები. ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **18.7%-ს**.

ეკონომიკური საქმიანობისათვის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო **11 083.2** ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შედგინა **4 967.6** ათასი ლარი, შესრულება **44.8%**. აღნიშნული სფერო მოიცავს, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის ხარჯებს, ქუჩების ტროტუარების, ხიდების მშენებლობასა და მოვლა-პატრონობას, ასევე სასაფლაოს მოვლა პატრონობას. ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **15.4%-ს**.

გარემოს დაცვაზე გეგმით გათვალისწინებული იყო **4 736.1** ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა **3 048.4** ათასი ლარი, ანუ გეგმის **64.4%**. აღნიშნულ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანაგვე ურნების შესყიდვა და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია. ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **9.4%-ს**.

საბინაო-კომუნალური მეურნეობაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა **6 313.8** ათასი ლარი, გეგმა **9 002.6** ათასი ლარი და შესრულება **70.1%** აღნიშნული სფერო მოიცავს: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას, წყლის სისტემის რეაბილიტაციასა და მოვლა-პატრონობას, გარე განათების ქსელის რეაბილიტაციასა და მოვლა-პატრონობას. ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **19.6%-ს**.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსებისათვის გამოყოფილი იყო **231.2** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა **138.3** ათასი ლარი, შესრულება **59.8%**. ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში **0.4%-ს** შეადგენს.

დასვენება კულტურისა და რელიგიის სფეროსათვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა **7 496.7** ათას ლარს, საკასო ხარჯმა შედგინა **5 382.1** ათასი ლარი, შესრულება **71.8%**. ამ სფეროში გაერთიანებულია კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეზილიტაციის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო ხარჯებში შეადგენს **16.7%**-ს.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული **3 128.0** ათასი ლარიდან საკასო ხარჯმა შეადგინა **2 716.4** ათასი ლარი, შესრულება **86.8%**. აღნიშნული სფეროთი დაფინანსდა ზოგადი განათლების, და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. მისი ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **8.4%**-ს.

სოციალური დაცვა - აღნიშნული სფეროს საკასო ხარჯმა შეადგინა **4 235.5** ათასი ლარი, გეგმა **3 693.5** ათასი ლარი, შესრულება **87.2%**. მისი ხვედრითი წილი აღნიშნულ საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს **11.4%**-ს.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2025-2028 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ბორჯომის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს,

რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ განათლება
- ❖ დასუფთავება და გარემოსდაცვა

2025-2028 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიო კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
02 00	ინფრასტრუქტურა	13687,9	17325.5	18228.6	18 173,3
	მ.შ რიცხოვნობა	210	210	210	210
	მ.შ ახალი ინიციატივები				

01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	8960.5	7887.7	8595.7	9233.5
	მ.შ რიცხოვნობა	148	148	148	148
	მ.შ ახალი ინიციატივები				
05 00	კულტურის სფეროს განვითარება	7501.0	7816.4	7954.8	8000.4
	მ.შ რიცხოვნობა	397	397	397	397
	მ.შ ახალი ინიციატივები				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5076.6	5076.5	5092.9	5110.5
	მ.შ რიცხოვნობა	24	24	24	24
	მ.შ ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	4544,1	4629,6	4427,6	5427,6
	მ.შ რიცხოვნობა	22	22	22	22
	მ.შ ახალი ინიციატივები				
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3230,0	3390,0	3605,0	3843,5
	მ.შ რიცხოვნობა	149	149	149	149
	მ.შ ახალი ინიციატივები				

1 ინფრასტრუქტურის განვითარება

